სტუმრად ტარტარენთან

ტარტარენი:

რამოდენიმე დღე ვფიქრობდი საქართველოში მომხდარზე და გადავწყვიტე ლუარსაბი ჩემთან მოვიწვიო და გავაცნო ჩემი სამფლობელო. აი გათენდა ის დღე როდესაც უნდა მეწვიოს ლუარსაბი. მე მოვამზადე ყველაფერი რაც მას უნდა ვანახო. წესით უნდა მოეწონოს.

ლუარსაბი:

დილით გავიღვიძე, მიმზიდველად გამოვეწყე, ჩავიცვი შარვალ-კოსტუმი და წავედი დიდად პატივსაცემ ღიპთან ერთად. გზად ბევრი ლამაზი ადგილი ვნახე. აი მივედი ტარტარენის პატარა, კოპწია, თეთრ სახლში. სახლი ძალიან ლამაზი გახლდათ. მიკვირს თავადის სახლს ამ სახლმა როგოტ უნდა აჯობოს-მეთქი. სახლზე რომ არ ვილაპარაკოთ მხოლოდ ბაღი ჰქონდა ისეთი როგორიც ოცნებებშია. შიგნიდან სახლი გადატვირთულია იარაღებით. შევატყე ნადირობა უყვარს. თვალში პირველად გრძელი, თეთრი, საჭმლით გადაჭედილი მაგიდა მომხვდა თანაც ისე მშიოდა პირზე წყალი მომადგა. დავსხედით სავახშმოდ. კარგად დავნაყრდი.

ტარტარენმა სანადიროთ წასვლა შემომთავაზა. ტარტარენს წინასწარ ვყავდი გაფრთხილებული და ჩემი ლურჯი ყალმუხის ქუდი წამოვიღე. ჩავატარეთ ყველა რიტუალი რაც საჭირო იყო და შევუდექით ქუდების სროლას. არც გამიკვირდა რომ ყველაზე მეტი მე გავარტყი და ნადირობის მეფეც გავხდი. მათი ნადავლის სახლს ჩემი ლურჯაც მიემატა და მე ტარასკონელი ხალხის საპატივისმცემლო გავხდი.

სტუმრად ლუარსაბთან

ვიღვიძებ დილით და მხვდება საქართველოდან მოწვევის წერილი. კახეთიდან მწერენ, უნდათ რომ იქ დამპატიჟონ და გამაცნონ საქართველოს ისტორია. კახეთში რამოდენიმე დღე რომელიმე გლეხთან დავრჩები. ეს აზრი ძალიან მომეწონა და მაშინვე საქართველოსკენ გავემგზავრე. ჩავედი და რა მხვდება? ულამაზესი, მწვანეში ჩაფლული ბუნება, ულამაზესი ეკლესია-მონასტრები და რა აღარ. ძალიან კარგი, მოსიყვარულე ხალხი ცხოვრობს. თითქმის 99% ასეთია, 1%-ს კი არ უყვარს სტუმრები. მე ზუსტად ის 1% შემხვდა. მათ დიდად არც სძულდათ და არც უყვარდათ სტუმრები. უბრალოდ ადგილიდან განძრევა ეზარებოდათ, თორემ ისე ძალიან კეთილი და გულუხვები იყვნენ. სმა-ჭამა და დროს ტარება უყვარდათ. ერთი სიტყვით კარგი საპატივისმცემლო ხალხია, მაგრამ სახლზე იგივეს ვერ ვიტყვით. რადგან სახლი უკვე პირუტყვის საცხოვრებელს ჰგავს: ოთახში აგურებია ამოცვენილი ამიტომ ფრთხილად უნდა იყო რომ რამე არ მოიტეხო. სახლი რომ არ ჩავთვალოთ კახეთის ბუნება საოცარია.